საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი, 5 ივნისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 122

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთის ფასი: 1 თვით 15 მანეთი, ცალკე ნომერი ღირს 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

7 ივნისს (25 მაისს ძველი სტილით) დილით შაბათს სოფ. საქარაში (შორაპნის მაზრა) მაცხოვრის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი არმავირში ტრაგიკულად დაღუპული ექიმ

ვარლამ დავითის ძე საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მისი: დავით გიორგის ძე, მარიამ გიორგის ასული, ვანო, პავლე, ვლადიმერ და გრიგოლ დავითის ძენი, სიმონ კონსტანტინეს ძე, ცუცუნა სიმონის ასული საყვარელიძეები, ვასასა დავითის ასული და ვლადიმერ ილიას ძე ტატიშვილები. ცაგუა სიმონის ასული და კატო ვლადიმერის ასული საყვარელიძეები შვილებით. (2—1)

შვილები: გიორგი, სოფიო, ბაბო, მართა, ლუკა და ალექსანდრე დავითის ძენი და ასულნი ჯილაურები, ნინა დავითის ასული თარაშვილისა შვილებით: მიშა და ქეთინოთი, ძმა ვასილ დიონოზის ძე ჰაბერაშვილი, და ანნა დიონოზის ასული, ილიკო იოსების ძე პატარკაცები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი

მელანია დიონოზის ასულის ჯილაურის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. პატარძეულში ხუთშაბათს 5 თიბათვეს. (2—2)

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები წმინდა ნინოს ქუჩის მეორე რაიონის საზოქალაქო ბიუროს წევრები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 2 ივნისს გარდაიცვალა ხსენებული ბიუროს წევრი

ისაკო მიხეილის ძე ძნელაშვილი

გამოსვენება მოხდება 5 ივნისს დილის 10 საათზე, საკუთარი სახლიდან არდაგანის შესახვევი № 7, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

მშობლები ელენე ოქროპირის ასული და გიგო გლახუნას ძე, დები: ქესარია და ნატალია, ძმები: მიხეილ, ნიკოლოზ, კოტე, დათიკო, პეტრე და ანდრო ბუაჩიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 7 ივნისს სოფელ ფარცხნალში (ბელოგორი) მაზრ. ეკლესიის გალავანში დილის 12 ს. გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი წამებულად მოკლულ თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის

სამუილ (ნოე) გიგოს ძე ბუაჩიძის

სახსოვრად. (2—1)

მეორე ქართული კლუბი

მიხეილის პრ. № 131. (ყოფილი ხარფუხის)

პირველი ქართული მომგებიანი ლოტერიის გამგეობის თაოსნობით სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს ივნისის 3, 4, 5 და 6 ს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული კინემატოგრაფიული სურათები ფირზე:

1) **გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში.**
2) **დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული.**
3) **ქრისტინე**

კინო დრამა 4 ნაწილად გადმოკეთებული ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან.

სცენარიუმი ალ. წუწუნავა.

გამოცემა გ. გოგიტიძისა.

საზოგადოების საყურადღებოდ: შესასვლელ ბილეთებთან ერთად სურათების ნახვის მსურველნი მოვალენი არიან შეიძინონ ქართული მომგებიანი ლოტერიის 5-მანეთიანი კუპონი. (3—3)

დენიკინი და დემოკრატია

მოხალისეთა ლაშქარი მხოლოდ რეაქციონერთა კლასიური ლაშქარია, კლასიური თავის შემადგენლობით, სისტემით, პოლიტიკით. მას არ აქვს რაიმე სახელმწიფოებრივი ხასიათი, არამედ ხასიათი ბრბოსი, რომელთანაც ვერავითარი მოლაპარაკება ვერ გასჭრის.

ან რა უნდა ელაპარაკო იმ რაზმს, რომელსაც არა აქვს არავითარი ტერიტორია, და მხოლოდ ეძებს საძარცველს.

მისი შემოსევა, მაშასადამე, ეს აშკარა, უნიადაგო, დაუფარავი რეაქციის შემოსევაა. და განა შეიძლება ასეთი ფაქტის წინაშე ყოყმანი, ლავა, შენ ჩემობა?

ჩვენ ვამბობთ, ყოველი ის, ვინც დენიკინის შემოსევის წინაშე კიდევ ლაპარაკობს რაღაც პირობებზე, არ ეკუთვნის დემოკრატიას. არ ეკუთვნის რევოლუციონერთა ოჯახს.

სახელმწიფოება ამ შემთხვევაში ვერავის აუხვევს თვალებს. რაც უნდა რევოლუციური უწოდო შენს თავს, მაინც შავრაზმელთა დახმარება და მათთან ერთად სიარული არ შეიძლება გაამართლო. ჩვენში კი, სამწუხაროთ, გამოჩნდა ისეთი წრეები, რომელნიც ამ შავ საფრთხის წინაშეც ვერ სდგებიან დემოკრატიულ პოზიციაზე და საქართველოს რევოლუციურ მუშათა კლასს და მის მთავრობას უყენებენ პირობებს, იმის ნაცვლად, რომ დენიკინს ეკვეთონ.

საყურადღებოა ამ მხრით ლამენტაციები ბოლშევიკების, რომელთაც არასოდეს არ ქონიათ პოლიტიკური უნარი შეერთებული ბრძოლის წარმოებისა. მიუკარებლობა იყო ყოველთვის მათი დამახასიათებელი თვისება. საყურადღებოა ეგრეთ წოდებული რუსეთის სოც.-დემ. მ. პარტიის წევრთა ლაპარაკიც, რომელნიც თითქმის რუსეთთან შეერთებას უყენებენ პირობად დენიკინის წინააღმდეგ დახმარებისთვის.

ამით იგინი იმავე ზრახვებს იჩენენ, როგორსაც დენიკინი. რუსის ესერებიც მათ ამაში ხმას უწყობენ. მაგრამ ჩვენ გვგონია მაინც, რომ გასაჭირის ჟამს ალღო თავდაცვისა აიძულებს მათ თავი ანებონ ამ პირობების ჩამოთვლას და საერთო საფრთხის წინაშე ჩვენ გვერდში ამოგვიდგნენ. დემოკრატია ვერ ასცდება ამ გზას და თუ ვინმე არ გაჰყვება მას, იგი გარიყული დარჩება.

ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ ჟამად პოზიცია დაშნაკცუტუნის, ე. ი. იმ პარტიის, რომელიც განაგებს სომხეთის ბედს. ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ: თვით დენიკინისაგან იგი აღიარებულია მოკავშირეთ, დამხმარე ძალით. დაშნაკელებს ასეთ პირობებში უნდა აშკარად ეთქვათ: მართალია ეს თუ არა?

„აშხატავორი“ კი სიტყვას ბანზე აგდებს და ჩვენს მთავრობას უდებს პირობებს.

თქვენ, ბატონებო, გაბრალებენ დენიკინის მომხრეობას. გაბრალებს თვით დენიკინი. სომხების მთელი პოლკი იდგას სოჭის ოლქში, პოლკი, რომლის შემადგენლობა თავს დაშნაკელებათ აღიარებენ.

ბრძანეთ, ბატონებო, სტყუის დენიკინი, თუ მართალს ამბობს? კითხვა პირდაპირ არის დასმული თქვენს წინაშე. თუ სტყუის დენიკინი, რით არის სომხის პოლკები და არა მარტო ოფიცრების, არამედ საერთოთ მცხოვრებლების პოლკები მის ჯარში? თუ სტყუის, როგორი გზით აპირებთ თქვენ დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ დენიკინელები არა ხართ?

თქვენმა მთავრობამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავენ იმ პირობით, თუ მათი ტერიტორიალური და სხვა პრეტენზიები იქნება დაკმაყოფილებული. ცხადია, თუ არ იქნა დაკმაყოფილებული, იგინი ნეიტრალიტეტს დაარღვევენ, ე. ი. დენიკინელებს ამოუდგებიან გვერდით.

ჩვენ [illegible], ვინაიდან ამით თქვენ არა თუ გამოეთიშებით ამიერ კავკასიის დემოკრატიას, თქვენ ულალატებთ და გასწირავთ თვით სომხის ხალხს, მისი დემოკრატია, გინდათ ის მოღალატეთ აქციოთ და თავის თავის მესაფლავეთ გახადოთ, ვინაიდან დენიკინის ლაშქარი არც მას დააყრის ბედის.

ამიტომ თქვენ ვალდებული ხართ პასუხი აგოთ ამიერ კავკასიის დემოკრატიის და კერძოთ სომხის ხალხის წინაშეც თქვენი რეაქციონური ზრახვებისათვის.

დენიკინს ამიერ კავკასიის დემოკრატია უთქვენოთაც გაუმკლავდება; თქვენც რომ არ უდგეთ ამ რეაქციის ბელადს გვერდში, მაინც მოიგერიებს მას და მასთან ერთად თქვენთვისაც გათხრის სამარეს...

კიდევ რკინის გზაზე

(გზათა მინისტრის საყურადღებოთ)

რამდენს სწერენ ჩვენი რკინის გზებზე, რამდენს ჩივიან იმ უწესოებაზე რკინის გზის მოსამსახურეთა და დარაჯთა თავხედობაზე, თვითნებობაზე, მაგრამ მაინც ვერ იქნა და ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში რკინის გზის მოძრაობა, ვერ მოეღო ბოლო მოსამსახურეთა [illegible] და თავხედობას.

რკინის გზის ყოველი მოსამსახურე ჩემულობს ბატონობას, თავის თავს სთვლის მბრძანებლადაც და აღმასრულებლადაც, უფრო-უმცროსობა სამსახურში მას არ მიაჩნია.

ამით აიხსნება მოგზაურების ბოროტად გამოყენება, ის თავხედობა, რომელსაც ხშირად დაუშვებენ რკინის გზის მოსამსახურენი დაწყებული უბრალო დარაჯიდან, გათავებული ობერ-კონდუქტორით.

ასეთ რამეებს ჰქონია ადგილი ამ დღეებში კახეთის რკინის გზაზე.

დამფუძნებელ კრების წევრი შევჩუკი, ასეთი ფაქტის მოწამე გამხდარა სად. გურჯაანიდან ტფილისში დაბრუნების დროს. იმ მატარებელში, რომელშიაც იჯდა დეპუტატი შევჩუკი, ობერ კონდუქტორი ჯანჯღარაძე მგზავრს შელაპარაკებია და ისეთი ძალით წაუკრავს მისთვის ხელი, რომ მგზავრი ვაგონის ბაქანზე დაცემულა.

ასე უდიერად მოპყრობას მგზავრისადმი აუღელვებია დეპუტატი შევჩუკი, რომელსაც მიუცია შენიშვნა ობერ-კონდუქტორისათვის, რომ იგი მოვალეა მგზავრებს მოეპყრას ზრდილობიანად, ამასთანავე დაუმატებია, რომ კონდუქტორს ელაპარაკება დამფუძნებელ კრების წევრი.

ამ სიტყვებზე ობერ-კონდუქტორს მიუგია „Подумаешь, великая шишка!“ არა თუ დეპუტატს, თვით ნოე ჟორდანიასაც ნებას არ მივცემ გაერიოს ჩემს საქმეშიო, „თუ არ გაჩუმდებით“, განუგრძვია თავხედ ობერს, „იქნება კიდევაც დარაჯს დაგატუსაღებინოთ თქვენი თავიო“.

დეპუტატს შევჩუკს ასეთ შეურაცხყოფის გამო მიუქცევია მატარებლის და სადგურ მელიანის დარაჯთა ყურადღება და მოუთხოვნია ზომების მიღება ობერ-კონდუქტორის ასალაგმავათ.

აქაც შევჩუკს წარუდგენია თავისი ვინაობა, დარაჯთ არც უცხვებიათ, არც უცვნიათ და დაუმუქრებიან დეპუტატს, რომ, თუ იგი არ დაწყნარდება და არ გაჩუმდება, თვით მას დაატუსაღებენ.

წესიერების და დეპუტატის პიროვნების ასეთი დამცველების მნახველ შევჩუკს სხვა არაფერი დარჩენოდა, როგორც გაჩუმებულიყო, მხოლოდ ტფილისში ჩამოსვლისთანავე მომხდარი ამბავი განუცხადებია კახეთის რკინის გზის უფროსისათვის, რომელიც დაპირებია საქმის გამოძიებას და დამნაშავეს პასუხისგებაში მიცემას.

ასეთი გახლავთ შედეგი დამფუძნებელ კრების მიერ გამოცემულ დეკრეტისა დეპუტატის ხელშეუხებლობის შესახებ.

რამდენი დეკრეტიც უნდა გამოიცეს, თუნდ დიდი ასოებით გაიკრას ყველა დაწესებულებაში, რკინის გზის თუნდ თითო ვაგონში, ჩვენი ღრმა რწმენით, ზოგი მოსამსახურენი, კერძოთ რკინის გზებზე, მაინც კარგა ხანი იქნებიან ყურმოყრუებულნი და განაგრძობენ თავიანთ თავხედობას, უდიერობას.

რატომ? იმიტომ, რომ ადმინისტრაციაში არ არსებობს პასუხისმგებლობა. კანონის დამრღვევს, სამსახურის უფლებების გადამეტებულს არ მისდევენ ფეხ და ფეხ. საჩივარს დამნაშავე ნოხლებზე მოისმენენ, გამოძიებას დაპირდებიან, გამოძიება გაჭიანურდება, მიყუჩდება, დამნაშავე თავის ადგილზე რჩება და ისე ქვეითდება და ირღვევა მთელი აპარატი. რა თქმა უნდა, ამისთანა პირობებში მოხელე არ დაინდობს არც დეპუტატს, არც მის ხელშეუხებლობას.

კახეთის რკინის გზის უფროსი დაპირებია დეპუტატს გამოძიებას.

რას ჰქვიან გამოძიება?

გამოძიების დანიშვნამდე, რკინის გზის უფროსს დეპუტატის განცხადებისთანავე დაუყონებლივ უნდა გადაეყენებინა სამსახურიდან ობერ კონდუქტორი ჯანჯღარაძე და დარაჯის ის პირნი, რომელთაც მიეყენებინათ დეპუტატისთვის შეურაცხყოფა. დეპუტატი საკმარისად სცემს პატივს იმ უმაღლეს დაწესებულებას, რომელსაც იგი ეკუთვნის, რომ არ დაუშვას სიყალბე, როდესაც საქმე ეხება კანონის დამრღვევს. ყოველ შემთხვევაში, გამოძიება გამოარკვევს, იქამდე კი დამნაშავენი უნდა იყვნენ გადაყენებული. ასეთი აქტი რკინის გზის უფროსისა დარჩებოდა მაჩვენებელ მაგალითად დანარჩენ მოსამსახურეთათვის, რომელთაც, თუ ჯერ ვერ შეუგნიათ დეკრეტებით, ახლა მაინც ეცოდინებოდათ, რას ნიშნავს დეპუტატის ხელშეუხებლობა, ეცოდინებოდათ, რომ დამფუძნებელი კრება წარმოადგენს არა მარტო უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს, არამედ—უმაღლეს საკონტროლო დაწესებულებას მთელი სახელმწიფოსი, სადაც დეპუტატს აქვს უფლება, შეადგენს პირდაპირ მის მოვალეობას თვალი ადევნოს იმას, თუ როგორ სრულდება და ტარდება ცხოვრებაში დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული კანონები და დეკრეტები და იქ, სადაც მოხელე არ შეეფერება და არ სდგას თავის მოვალეობის და სამსახურის სიმაღლეზე, მიაქციოს ყურადღება იქ, სადაც ჯერ არის და მიაღებინოს სწრაფი ზომები, როდესაც მოითხოვს ამას მომენტი და გარემოება.

როდესაც ყველა ეს არ დარჩება მარტო ქაღალდზე, შესრულდება დაუყონებლივ და შეუბრალებლივ უწყების სათავეში მდგომის მიერ, მაშინ ადმინისტრაციის აპარატიც მოგვარდება და ყოველ მოხელეს ეცოდინება თავისი ადგილი, თავისი მოვალეობა და თითოეული ეცდება გაეცნოს ყოველ გამოცემულ კანონს და დეკრეტს, თუ სათანადო უწყება არ შეეცდება გააცნოს თავის მოხელეებს.

ახლა ვეკითხებით ბ. უფროსს კახეთის რკინის გზის,—დეპუტატი შევჩუკის შეურაცხყოფისთვის, გადააყენა თუ არა სამსახურიდან ობერ-კონდუქტორი ჯანჯღარაძე და დამნაშავე დარაჯნი, თუ დღესაც განაგრძობენ იგინი თავიანთ თანამდებობის ასრულებას?

ქ. კახელი

დენიკინის გამოლაშქრება

I

იჯდა გამოჩენილი არხიმედი და ოცნებობდა: მომცა ნეტავი დასაყრდენი წერტილი და მთელ დედამიწას ავსწევო...

იჯდა ჰენერალი დენიკინი და ოცნებობდა: ახ, მომცა ნეტავი ორასი ათასი ხიშტი და ბოლშევიკებს ავსწევო.

იჯდა და ოცნებობდა, ოცნებობდა და იჯდა.

იმისი სულისკვეთება დაფასეს ცნობილი ნიკოლოზის ერთგულმა მოსამსახურეებმა, შავრაზმელმა ოფიცრებმა და რევოლუციის მიერ გამოყრილმა მოხელეებმა და ნელა-ნელა მოიყარეს თავი მეოცნებე ჰენერლის გარშემო.

ჰენერალმა გადაავლო თვალი თავის ლაშქარს და მიესალმა:

— გამარჯვება, სამშობლოს იმედებო!

— გაგიმარჯოსთ, სამშობლოს მხსნელო!

ჰენერალმა ჩაახველა და გაიფიქრა: ამისთანა ლაშქრით მე ბოლშევიკებს ვერ ავიღებო, და გადაწყვიტა—თუ ნებით აღარავინ მოდის, ძალით მოვიყვანო.

თქმა და ასრულება ერთი იყო.

უნდა იცოდეთ, მოქალაქენო, რომ ჰენერალი დენიკინი მეტად ჯიუტი და თავის ნების კაცია. თუ გნებავთ, ჩემსას ნუ დაიჯერებთ, მაგრამ ასე ახასიათებს მას ზოგიერთი ინგლისელი ჰენერალი.

დღეს

აზერბეიჯანის საზღვრებზე ცვლილება არ მომხდარა.

ავსტრიის დელეგაციას უკვე ჩააბარეს საზავო პირობები.

გერმანიის აღმოსავლეთ პროვინციების მცხოვრებთ მთავრობამ მოწოდებით მიმართა, რომ ამ პროვინციების გერმანიისაგან ჩამოჭრას ის არ დაუშვებს.

ზემო სილეზიის ქალთა მიტინგმა მოწოდებით მიმართა როგორც მოწინააღმდეგე, ისე ნეიტრალური ქვეყნების ქალებს დაეხმარონ მათ ისეთი ზავის დამყარებაში, რომელიც აშენებული იქნება მშვიდობიანობის, თავისუფლების და სამართლიანობის საფუძველზე.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარების ბრძოლა გრძელდება ყველა ფრონტებზე. მარიუპოლის და ბახმუტის რაიონში საბჭოთა ჯარებმა უკან დაიხიეს. ლუგანსკის სამხრეთით კი — ტყვეთ წაიყვანეს ყუბანის ქვეითი პოლკი და პლასტუნთა ბატალიონი.

მოედო მისი ამქარი დაბა-სოფლებს და შექმნა განგაში:

— მოდით ხალისით, დაუზარებლად და რუსეთი აღვადგინოთო.

როდესაც ხალისით არავინ მიდიოდა, დაუწრათეს კონდახები და მოირეკეს ძალით.

ამგვარად შედგა მოხალისეთა ჯარი. რამდენიმე თვეს უტრიალებდა დენიკინი თავის ხალისიან ჯარს, მაგრამ ჯარმა მიაბჯინა ფეხი და აღარ იზრდებოდა, აღარ მატულობდა.

— ამისთანა ჯარით მე რუსეთს ვერ ავიღებ, იფიქრა შეუპოვარმა ჰენერალმა, ჩაჰკიდა თავი და მიეცა ღრმა ფიქრს.

იმის თვალწინ გადიშალა მოსკოვი. აი ის ზის თეთრ ცხენზე. ზღვა ხალხი მუხლ-მოყრილია გარეშემო.

— ჩამოაღრჩეთ ლენინი! ბრძანებს ჰენერალი.

გამოჰყავთ საბრალო ლენინი და იქვე, იმის თვალწინ ჩამოჰკიდებენ.

— ჩამოაღრჩეთ ტროცკი!

აღრჩობენ.

— ჩამოაღრჩეთ ლუნაჩარსკი!

აღრჩობენ.

— ჩამოაღრჩეთ ყველა ბოლშევიკები!

ყველას აღრჩობენ.

დენიკინი კმაყოფილია, დენიკინი მხიარულია: მან მოსპო ბოლშევიზმი.

— ვინ დაჯდება ახლა მეფედ? ჰფიქრობს ის თავის გულში; რომელი რომანოვი?

— რომანოვმა რუსეთი დაღუპა; მეფობა მას შეჰფერის, ვინც რუსეთი იხსნა, უწივის ჰენერალს მარჯვენა ყური.

— რუსეთი შენ იხსენი, მეფეც შენ უნდა იყო! უწივის ჰენერალს მარცხენა ყური.

უნდა ვთქვათ, რომ მარცხენა ყურის წივილი მას კარგათა ჰქონდა დაცდილი.

— თუ ინგლისის ჰენერლები ჩემს მხარეზე იქნებიან....

— ბოლშევიკები მოდიან! გაისმა ამ დროს ხმა, იგრიალა ჰენერლის ჯარმა და გაქვეთა.

ვის გაქვეთა?

თქვენ გგონიათ, ბოლშევიკებს?

წარმოიდგინეთ; მეც ასე მეგონა. შავ ზღვას გაქვეთა!

— ერთი ამისთანა გამარჯვება კიდევ და მე უჯაროთ დავრჩები, წარმოსთქვა ჰენერალმა, რომელსაც გაფანტულ ჯარს თავი მოუყარა.

თუმცა ეს ჯერ არც ერთმა ინგლისელმა არ იცის, მაგრამ მე კი უნდა გამოვიტყდეთ,— ჰენერალს მეტის-მეტად უყვარს ბუნება.

— აი ქვეყანა, სადაც ჰხარობს ზეთის ხილი და ფორთოხალი! წამოიძახა ჰენერალმა სიამოვნებით შავი ზღვის დანახვაზე; ჯერ ეს მხარე უნდა დავუმორჩილო ჩემს ხმალს და შემდეგ ზედ დავაფუძნო მთელი რუსეთიო.

— ჩემო მოხალისენო, უნდა ავიღოთ მთელი კავკასია! უბრძანა მან ჯარს.

— ავიღოთ! იგრიალა ჯარმა.

ამ დროს იგრიალეს გ. ჯუღელისა და ი. გედევანიშვილის ტყვიის მფრქვევლებმა და მოხალისეებმა სამოცი ვერსი აიღეს.

მხოლოდ წინ კი არა, უკან!

— საიდან მოგვიარეს ბოლშევიკებმა?

ჰკვირობდა ჰენერალი.

— ბოლშევიკები კი არა, ქართველები არიან, ჰენერალო! მოუვიდა რამდენიმე ცნობა ბათუმიდან.

— ავიღოთ საქართველო იერიშით! გასცა ბრძანება ჰენერალმა. მოხალისეებმა მოიფხანეს...

უნდა ვიფიქროთ, საქოჩრე!

— ჩამოაღრჩეთ ჩხეიძე! ჩამოაღრჩეთ წერეთელი! ჩამოაღრჩეთ ჟორდანია, გეგეჭკორი! ყველა, ყველა ჩამოაღრჩეთ! აღარა სცხრებოდა საღრჩობელას გზაზე შეჩვეული ჰენერალი.

მოხალისენი უძრავათ იდგნენ და განაგრძობდნენ ფხანას.

შავი ფიქრები წარბებში ჩამოაწვა საბრალოვან ჰენერალს და თავი ძირს დახარა.

რადგანაც მას საშინლათ უყვარს ინგლისი და ინგლისელები, ამიტომ კარგათ იცნობდა შექსპირსაც, მოაგონდა ყველასაგან მიტოვებული მეფე ლირი, წარმოუდგა თვალწინ მისი მდგომარეობა და რაღაც მსგავსება ჰპოვა თავის ბედთან.

— ნუთუ გაჭირვებაში მეც თავს დამანებებს ყველა ჩემი მეგობარი? ამოიოხრა მან და გადისვა შუბლზე ხელი.

— რას ჩაფიქრებულხარ, ამხანაგო და მეგობარო! და ჰკრა უცნობმა მხარზე ხელი.

— ვინა ხარ? საიდან მოსულხარ? რა გინდა? რა იცი? მიაყოლა დენიკინმა ზედიზედ კითხვები.

— ეჰ, რა გეჩქარება? მოდი დინჯათ ვილაპარაკოთ! ვერ მიცანი?

ჰენერალი ჩააჩერდა, მაგრამ ეტყობოდა ვერა სცნობდა.

— მაშ ყური დამიგდე, განაგრძო უცნობმა: მე იგი ვარ, ვინც მუდამ დღე მეფის ხმალზე ვიწერ პირჯვარს. მე იგი ვარ, ვინც მუდამ დღე...

— კმარა, კმარა, გააწყვეტინა ჰენერალმა: გაუმარჯოს დაშნაკცაკანს!

— გაუმარჯოს დიდ პატრიოტს!

ხელი ხელს მისცეს და ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

— ერთი მითხარი, მეგობარო, რამ მოგიყვანა? მიმართა ჰენერალმა.

— როგორ თუ რამ მომიყვანა! ხომ გაგიგონია: გული გულს იცნობს და ღონეს ღონეო, მთელ რუსეთში მე ერთად ერთი ვარ, რომელიც შენ ყველაზე უფრო გიცნობს და გაფასებს.

— მჯერა, განაგრძე.

— მე ვიცი, შენ რაც გინდა: რუსეთის აღდგენა და მეფის ტახტის დამკვიდრება.

— მართალია.

— მეც ეგ მინდა და ამისათვის მოვედი შენთან. რუსეთისაკენ მიმავალი გზა კავკასიაზე მიდის, ზედ საქართველოზე, თფილისზე.

— მართალია, მერე?

— მერე ის, რომ საქართველოზე უნდა გავიაროთ ერთი შენებურათ, ჩვენებურათ. შენ ხომ იცი, როგორ მივდივარ ხოლმე მე თათრის სოფლებზე,—აი ისე.

დაშნაკცაკანმა გადიხარხარა ღვარძლიანათ, ჰენერალმა გაიღიმა.

— მეც გადავწყვიტე საქართველოზე გალაშქრება, მაგრამ ძვირათ დამიჯდა, წარმოსთქვა ჰენერალმა.

— მე სულ სხვა გეგმა მაქვს: ყური დამიგდე. სადაც იარაღი ვერა სჭრის, იქ ფული სჭრის. ქართველები ტუტუცები არიან; იმათ ფულით ვერ მოისყიდი. ჯერ ქართველებს თავი დავანებოთ და გარეშემო შემოვერტყათ. გარეშემო ვინ არის,—მთიელები, აზერბეიჯანი და ჩვენ. მთიელების მთავრობას ფული მივცეთ და კარს გაგვიღებენ.

— მაგდენი ფული სად არის?

— ეჰ, ჰენერალო, ხმალი შენი, ფული ჩემი! მთიელების რესპუბლიკას ფულით ავიღებთ და მივადგეთ ბაქოს.

— აზერბეიჯანს, ამბობენ, დიდძალი ჯარი ჰყავსო და, ამოდენა მანძილზე რომ ჯარი გავჭიმო, ამდენი გასძლებს?

— ეჰ, ჰენერალო, აზერბეიჯანის ამბავი მე მკითხე. მთელი ბაქო სულ ბოლშევიკი მუშებით არის სავსე. აზერბეიჯანის მთავრობას შიშის ქარები აქვს აგარდნილი.

ჩვენ გავმართოთ მოლაპარაკება. მეგობრათ მოვეჩვენოთ თავი, სიტყვაც მივცეთ, თქვენ რესპუბლიკას ხელს არ ვახლებთ თქო, მარტო ბოლშევიკებზე გაგვიშვი ბაქოში-თქო და იცოდე შეგვიშვებენ.

— მერე?

— მერე თუ საქმე გაჭირდა, ჩვენ ზურგიდან დავეცემით, ეს ხომ ჩვენი ხელობაა,—და აზერბეიჯანის რესპუბლიკა გაჰქრა! მერე იცი? მთელი დაშნაკცაკანი შენ ჯარში ჩაეწერება. დავეცემით და სულ ბედნიერი ავადინოთ თფილისს, როგორც მოგწონს, ჰაა?

— გეგმა მართლაც კარგია. მაგ გზას დავადგები, მაგრამ იცი, რა: ტანკები რომ გვაშოვნია, მაშინ ველარც ჟორდანია გაგვიმაგრდება, ველარც ლენინი. წარმოსთქვა ჰენერალმა.

— ტანკები, ტანკები! ვაა, რა დიდებული აზრია.

და შეუდგნენ მეგობრებში ტანკების მოპოვებას.

ამის შემდეგ იცით, რა მოხდა?

ჰაჰულაი შეიკაზმა
თოფითა და ჯინჯილითა.
უნდა ქალაქსა მივადგე,
ამოვწყვიტო შიმშილითა.
ეს რომ ველიკომ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა.

— დენიკინი მოსვლას აპირებს, აბა ამხანაგებო, ღირსეულათ დავხვდეთ და ღირსეულათ გავუმასპინძლდეთ! შესძახა ველიკომ თავის შევარდენებს.

ჩვენი გვარდია სიხარულით ცას ეწია და თოფს სინჯვა დაუწყო, ხომ არ დაჟანგდენსო.

— მეგობრებო, დენიკინი ჩვენსკენ მოდის. აბა თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ! მიმართა სასოეთ ჯარს.

იგრიალა ჯარმა და გაექანა პირველი რიგისაკენ მტრის შესახვედრათ.

იმერლებს, გურულებს, ქართლელებსა და კახელებს ცოტა დავაც შეექმნათ: არა ჩვენ უნდა ჩავდგეთ პირველ რიგში არა ჩვენო.

ივ. გომართელი

(დასასრული იქნება)

დამფუძნებელი კრება

(3 ივნისის სხდომა)

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ივ. ჭავჭანიძის და ქრ. შარაშიძის მოხსენებით მეორე მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის 5 წლიურ დამატებათა დაწესების შესახებ, ამ კანონის ძალით დაწესდა სამი 5 წლიური დამატება (მეოთხე 5 წლ. ითვლება პირველი 5 წელი). თითოეული 5 წლიანი დამატება 400 მანეთია. კანონი ძალაში შედის 1918 წ. 1 იანვრიდან.

ივ. ჭავჭანიძის მოხსენებით მიღებულ იქნა აგრეთვე დეკრეტი ახალ-სენაკ-ზუგდიდ-სოხუმის და ახალ ციხე-ახალ-ქალაქ-არტაანის გზატკეცილების შესაკეთებლათ 800,000 მან. პირველის (სოხუმ-სენაკის) შესაკეთებლად 500,000 მ. მეორესთვის კი—300,000 მან.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 ივნისი.

გერმანული პრესის ცნობები.

აღმოსავლეთში მყოფ გერმანელებს მთავრობამ შემდეგი მოწოდებით მიმართა: „გერმანიის საპასუხო წინადადებანი მოკავშირეებს პარიზში გადასცეს. მათში დაბეჯითებითაა მოთხოვნილი, რომ აღმოსავლეთის ოლქები არ ჩამოაშორონ მას და გერმანელები ამტკიცებენ, რომ გერმანიას ვერ ჩამოაშორებენ ვერც ზემო სილეზიას, ვერც დასავლეთ პრუსიას, ვერც დანციგს და ვერც მემელს და შეუძლებელია, რომ აღმოსავლეთის პრუსია დასჭრან პოლონელების ზღვისკენ ვიწრო გასავლებით. თუ ჩვენი საპასუხო წინადადებანი უარყვეს, მაშინ რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს ისეთ ზომებს, რომლებსაც გვიკარნახებს მთელი ერის არსებობის შენარჩუნების აუცილებლობა. ჩვენ გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა როგორც აწმყოსი, ისე მომავლისთვის.

ზემო სილეზიის ქალების მრავალ-რიცხოვან კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: მრავალი ქალი და ბავშვი ენერგიულ პროტესტს აცხადებს „შიმშილის ზავისა“ და განსაკუთრებით გერმანიის საერთო სამშობლოსაგან ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ჩამოშორების გამო, და მოგმართავენ თქვენ, მოწინააღმდეგის და ნეიტრალურ ქვეყნების ქალებს. ნუ გაგვხდით მონებად, რათა ჩვენ ბავშვებს თქვენდამი ზიზღი და შურისძიების გრძნობა არ ჩაუნერგოთ, ეცადეთ, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვეცეს ისეთი ზავი, რომელიც სიმშვიდეს, თავისუფლებას და სამართლიანობას დაამყარებს.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივნისის 3. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის რაიონში ჩვენი მზვერავები მოწინააღმდეგის ზურგში შევიდნენ და რკინის გზის ლიანდაგი მე-458 ვერსზე აფეთქეს. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართულებით წითელი ჯარის შეტევა გრძელდება. გატჩინის დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. გატჩინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ფინეთის ყურეში მოწინააღმდეგის სამხედრო გემები მძიმე არტილერიით კოპორის ყურეს სამხრეთის ნაპირს უშენდა. ვოლმარის მიმართულებით, მდ. ლაფლიანდიის ახლო რაიონში ბრძოლაა. პონევეჟის რაიონში ლატიშები ახალ პოზიციებისაკენ იხევენ. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუვაქციეთ. სამხრ. ფრონტი. მარიუპოლის რაიონში ჩვენ სადგ. ვოლნოვახა და ველიკო ანადოლი დავსტოვეთ. ბახმუტის რაიონში, სად. პოპასნაიას ჩრდ. მოწინააღმდეგემ შეგვავიწროვა. ლუგანსკის სამხრეთით დიდი ბრძოლაა. რკინის გზის ლიანდაგის აღმოსავლეთით, მდ. ავსაიზე ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე შეავიწროვა და ყუბანის ქვეითი პოლკი და პლასტუნთა ბატალიონი ტყვეთ წამოიყვანა. ასტრახანის რაიონში სამი დღის ბრძოლის შემდეგ სერებრიაკოვსკაიასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ და ყაზლიარის ჩრდილოეთით 60 ვერსზე უკუ ვაგდეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ნოვოუზენის რაიონში მოწინააღმდეგემ ალექსანდროვო-გაისკენ დაიხია. ურალსკის რკინის გზის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ სადგური ჩერკული დავიჭირეთ. ორენბურგის დასავლეთით ორმოცდა ათ ვერსზე ტატიშჩევოსთან მტერმა შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ მეზელინსკი დავიჭირეთ. უფის რაიონში ჩვენი ჯარი ყველა ფრონტზე სად. ჩიშმის ხაზზე გამოვიდა. სარაპულის რაიონი. ჩვენ სად. აგრიზის ხაზს მოვაღწიეთ. კრონშტადტის სიმაგრის რაიონში ივნისის 1 ჩვენ სოფ. ნოვოფსტიე, შაკოვო, გოლშკინო და შეჩკინო დავიჭირეთ. ივნისის 2. მზვერავები მოქმედებდნენ. კიევი, მაისის 31. ჩვენმა ჯარმა დუბნო და დაბა მლინოვი დაიჭირა. (შემდეგ გამოტოვებულია).

ინგლისური პრესის ცნობები.

ს. ჟერმენი. დაიწყო ომის უკანასკნელი ხანა. დღეს მოკავშირეებმა დამარცხებულ ავსტრიის დელეგატებს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ახალი პირობები ჩააბარეს. ავსტრიის საზავო დელეგაციის მეთაურმა რენერმა, წინააღმდეგ პროკლამაციისა, ზავის პირობები მორჩილებით და წყნარად მიიღო. კლემანსომ მას მიმართა რამდენიმე სიტყვით, რომელზედაც მან ფეხზე მდგომმა ფრანგულ ენაზე აღელვებით უპასუხა.

ქრისტიანულ დახმარების საეკლესიო კომიტეტმა საფრანგეთსა და ბელგიაში ივნისის 1 ფულის მოკრება დანიშნა. აოხრებულ ადგილებში პროტესტანტთა ეკლესიების აღსადგენად 3,200,000 დოლარია საჭირო.

ახალი ამბები

ამხ. ა. ახატიანის სასამართლოში მიცემა განუზრახავს სომხეთის მთავრობას, სომხური გაზეთების გადმოცემით, იმის გამო, რომ ახატიანმა თფილისში და ბაქოში მოხსენებები გააკეთა სომხეთის მდგომარეობის შესახებ, სადაც, მთავრობის აზრით, გამოაშკარავებული იყო სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოებანი, რითაც მან ჩაიდინა სახელმწიფოებრივი ღალატი.

◆ **ბაქოდან** მიღებული ცნობით აზერბეიჯანის საზღვარზე ცვლილება არ მომხდარა. მოხალისეთა ჯარის შეტევა დერბენტ-პეტროვსკში გრძელდება.

◆ **ომში დაზარალებულთათვის.** პარასკევს, 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაიმართება მოხსენებები მომენტის შესახებ. მომხსენებლებათ გამოვლენ საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, დამფუძნებელი კრების წევრები რ. არსენიძე და ივ. გომართელი, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენლები. მოხსენებების შემდეგ გაიმართება კამათი. შემოსავალი გადაიდება ფრონტზე დახოცილთა ცოლშვილის სასარგებლოდ. ბილეთები ღირს მანეთიდან ათ მანეთამდე და იყიდება შემდეგ ადგილებში. პირველ რაიონის კოლექტივის ბინაზე, პირველი რაიონის გვარდიის შტაბში, რკინის გზათა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ გამგეობაში, რკინის გზის სადგურზე გაზეთების გასასყიდ კიოსკში, „ერთობის“ და „ბრძოლის“ კანტორებში, პარასკევს კი, თვით კლუბის კასაში.

◆ **დამფუძნებელ კრების დამატებით არჩევნები.** დღეს შესდგება დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა დამატებით არჩევნებისთვის დღის დასანიშნავათ.

◆ **სომხეთის რესპუბლიკის** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დეპეშით ატყობინებს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს და ინგლისის რკინის გზის მისიას, რომ 1 ივნისიდან შესწყდა სადგ. სანაინიდან ლტოლვილთა და ბარგის მიღება, რადგანაც რკინის გზაზე გადააქვთ მხოლოდ ამერიკიდან მოსული სურსათი. სანაინში გაგზავნილია 202 ვაგონი სურსათის გადასაზიდად.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ მე-7 განყოფილებაში (საბურთალო) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ექ. ტურიაშვილისა: „ჰიგიენა“; 2) ეპ. ალშიბაიას „ელექტრობა და ორთქლი“; 3) გ. ნათაძის „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია“.

◆ **ქალთა სახატავო სემინარიაში** (ახალი ბებუთოვის ქ. 6. ყოფილი ინსტიტუტი), 5 ივნისს, დილის 11 ს. გაიხსნება მოწაფეთა ნამუშევარის სამხატვრო და ხელ-გარჯილობის გამოფენა. გამოფენა გასტანს 5 დღეს.

◆ **ქართულ მეორე კლუბში** 3, 4, 5, და 6 ივნისს განზრახული ქართული კინომატოგრაფიული სეანსები ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ მოხერხდა. იგივე სურათები 6 და 9 ივნისს ნაჩვენები იქნება ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში (სასახლის ქ. № 5).

◆ **ახალი წიგნები.** ტრუდქცომ მიიღო თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა „რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ II“ ისტორიული მონოგრაფია ნ. ჰეიშვილისა ფასი 3 მ. 50 კ. „სამშობლო სურათები“ ტ. მამალაძისა ფ. 3 მ. 50 კ.

◆ **ნახრის დამრღვევთ** ადმინისტრატიული წესით დასჯის გარდა ქუჩების დასასუფთავებლათ ამუშავებენ.

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილება** ამ დღეებში დაიწყებს სულზე თითო გირვანქა მჭადის დარიგებას საარაიონო კომიტეტების შემწეობით.

◆ **მისაღები გამოცდები.** ქალთა მეშვიდე გიმნაზიაში უკვე დაიწყო მისაღები გამოცდები. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში. თხოვნების მიღება და გამოცდების გაგრძელება ივნისის 12-დის.

◆ **თევზაძის გიმნაზია** და მასთან არსებული საზაფხულო კურსები გადავიდენ ახალ ბინაზე მიხეილის ქ. № 55.

◆ **თფილისის სახელოსნო სასწავლებლის** შენობაში (ვეზირხოსის მოედანზე) სასწავლო წლის თავზე მოიპოება გასაყიდად მომხმარებელთა და სხვა და სხვა დაწესებულებათათვის (გარდა ჩარჩების) სასწავლებლის სახელოსნოებში ნაკეთები სხვა და სხვა ნახელავი როგორიცაა: უთოები, კარისა და მისავალის კლიტეები და ბოქლომები, სპილენძის გრდემ-

ლები (პრესს-პაპიე), შაქრის საჭურჭლები, ტაბურეტკები, საკლასო დაფები, სავარძლები, სამაღლო თუჯის სკამ-ლოგინები და სხვა ავეჯეულობა, აგრეთვე სხვა და სხვა ხელსაწყო საზეინკლო და სახარატო იარაღები.

◆ **ქალაქის ვერის რაიონის** სამკითხველოში აკაკი წერეთლის სახელობისა ივნისიდან იწყება წიგნების გაცემა სახლში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** მეორე განყოფილებაში, რომელიც ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზშია მოთავსებული, სისტემატიურად სწარმოებს ლექციების კითხვა საღამოს 6 საათიდან ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** მორიგი კრება მოხდება პარასკევს, 6 ივნისს საღამოს 7 ნახ. საათზე მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** 10 აპრილს ბორჯომში ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა წაიყვანეს ჩემთან მყოფი მესხეთ-ჯავახელი ლტოლვილი ბავშვი სოლომან ბერიძე, უმორჩილესად ვსთხოვ წამყვანს, ან ვინმე მნახველს მაცნობოს სად იმყოფება ბავშვი, რადგან მისი ნათესავები ძალიან სწუხან. მისამართი: სად. ბორჯომი ბუფეტის მოიჯარადრე სერგო გოგიბერიძეს.

◆ **მხატვრობის საღამო.** შაბათს, 7 ივნისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მხატვრობის საღამო. დავით კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას „თანამედროვე მხატვრობის გზები“. გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი და ს. სორინი იტყვიან სიტყვას თანამედროვე ქართულ მხატვრობაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ** დასახიჩრებულთა კავშირთან, დაჭრილ-დასახიჩრებულთა 18 მაისის საერთო კრების სურვილით დაარსდა დაჭრილ-დასახიჩრებულთა დამხმარე კასსა. ამ კასსის მიზანია მატერიალური დახმარების აღმოჩენა ომში დაჭრილ იმ დასახიჩრებულთათვის, რომლებიც მოულოდნელ გასაჭირში ჩავარდებიან და გარეშე წყაროებს მოკლებულნი იქნებიან (მაგ. როდესაც თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ავად გახდება, როდესაც ვინმე გადაეცვლება და სხვა). აგრეთვე ომში იმ დასახიჩრებულთაც მიეცემათ დახმარება კასიდან, რომლებიც სხვა მხრივადაც საჭიროებენ დახმარებას. კავშირის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს კასაში ერთდროულად ათი მან. (შეუძლიან მეტიც გადაიხადოს) თვიურად კი სამი მან. უნდა იხადოს, ერთდროული და საწევრო ფულის გადახდა სავალდებულო არის კავშირის ყველა წევრებისათვის.

სხვადასხვა ამბები.

8 ივნისს ღამით ზ. რატიშვილის ბინიდან ბოროტ-განმზრახველებმა 15,000 მან. სხვადასხვა ნივთები მოიპარეს.

— 1 ივნისს სასტუმრო „ორიანტში“ მცხოვრებმა ღ. გ. ორბელიანმა მოინდომა რევოლვერით თავის მოკვლა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

— სომხეთის კონსულმა მილიციაში განაცხადა, რომ მას სადგურიდან ნივთების გადმოტანის დროს მოპარეს ჩემოდანი, რომელშიც იყო 20,000 მანეთად ღირებული ნივთები. ამის გამო ეჭვით დააპატიმრეს გადმომტანი ი. სიხარულიძე და მეტრეველი.

კრებანი.

დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს, ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— 5 ივნისს სამ საათზე ნავთლუღის შტაბის ეზოში შესდგება პარტიული კრება. ასარჩევია ახალი მეშვიდე კოლექტივის წევრები და კომიტეტისა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის მორიგი და სხვა მე-6 რაიონის ორგანიზაციების შეერთებული კრება.

— დღეს, საღ. 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. როგორც ყველა მცირე კოლექტივთა, ისე ბოქაულეანცის ქარხანაში მომუშავე მუშათა წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.

მილიციის უფროსის ბრძანება

როგორც შევამჩნიე, ქალაქ ტფილისში, მილიციონერები სისხლის სამართლის და აგრეთვე ქალაქის მილიციისა, თავის ნებით, პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა დაუსწრებლად, სახლებში ჩხრეკას ახდენენ, როგორც დღისით, აგრეთვე ღამითაც. მილიციონერების ასეთ მოქმედებას ვსთვლი უკანონოთ, რადგანაც ჩხრეკის დროს შესაძლებელია მოხდეს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება, რაიც გამოიწვევს მოქალაქეთა შორის საფუძვლიან საჩივრებს, ამისთვის კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ჩხრეკა ხდებოდეს, როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე ქალაქის მილიციის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა თანადასწრებით, ე. ი. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის, ან მისი თანაშემწის, კომისრის ან მისი თანაშემწის ხელმძღვანელობით. და რამდენადაც შესაძლებელია უნდა ეცადონ, რომ ჩხრეკა ღამით არ ხდებოდეს, გარდა ზოგიერთ საჭირო შემთხვევისა. აგრეთვე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ იარაღის ჩამორთმევაც აღნიშნული წესით ხდებოდეს. თუ გარემოება მოითხოვს, რომ ვინმეს იარაღი უნდა ჩამოერთვას, მილიციონერი იმას მიიწვევს კომისარიატში, სადაც პასუხისმგებელ თანამდებობის პირი ჩამოართმევს მას იარაღს, თუ ამას საჭიროდ დაინახავს, დოკუმენტების განხილვის შემდეგ. უკეთუ ასეთ მოთხოვნას ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს, იმ შემთხვევაში მილიციონერმა თვითონ უნდა ჩამოართვას მას იარაღი და დაკავებული იარაღით წარადგინოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის კანცელარიაში, ან უბნის კომისარიატში შემდეგი განკარგულებისათვის.

მილიციის უფროსი გ. ხულაქველიძე.

26 მაისი

გამიგონია, რომ უძლურია სიტყვა სავსებით გამოხატოს ადამიანის გრძნობათა ღელვა, განსაკუთრებით ნეტარ წამებშიო. და აი, თურმე ადამიანს მეტის სიხარულისაგან ცრემლი წასქდება ხოლმე. დიახ, საყვარელო ძმებო! იმ დროს, როდესაც ქართველი ერი ბრწყინვალედ ზეიმობს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს და იხაზმება გაერთიანებული საქართველოს დროშის ქვეშ, იმ დროს, როდესაც ბუნებაც კი უმღერს ჩვენს ქვეყანაც მხარეს საგმირო ნანას და ეს ნანა გულის სიღრმეში ცეცხლ აღგზნებულად სწვდება ჩვენ ქართველ ერს, დღეს აქ თავ მოყრილს, ჩვენც აქა ვართ ამ ნეტარ დროს ქართველ მუსულმანთა დავალებით. სიხარულით ღამის ცრემლები ვღვარეთ. მე უნის, ტანჯულ მხარის შვილი, აქა ვართ ამ ნეტარ დღეს და სხვებთან ერთად ჩვენც ვზეიმობთ და ვდღესასწაულობთ. განსაკუთრებით ორკეცია ჩვენი სიხარული, რადგან დღევანდელი დღე თავდებია ჩვენი განთავისუფლებისა და დედა სამშობლოსთან სამუსულმანო საქართველოს შეერთებისა თავისუფალ საქართველოსთან. თავისუფალი საქართველო ჭეშმარიტებისა და ძმობა-ერთობის განმტკიცებული, უეჭველია, ველარ მოითმენს, რომ მას მოგლიჯონ გულიდან მის ტკბილ აკვანში აღზრდილი შვილი და შესაფერ პასუხს არ გასცემს თავხედ მტაცებლებს. ველით ამ დღეს სანეტაროს, ველით ჩვენ თქვენთან სამუდამოდ შეერთებას, სამუდამოთ და განუყრელად. და აი, ამ ძვირფას და სანეტარო იმედებით განმსჭვალულნი, შემოვძახებთ ჩვენც თქვენთან ერთად:

დიდება ძმობა-ერთობას, დიდება ჩვენს სამშობლოს, დიდება თავისუფლებას.

აზიზ-ეფენდი ჯაში.

ქობულეთი.

ოსეთში

(წერილი ცხინვალიდან)

სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებამ ამ ბოლო დროს ფართო ხასიათი მიიღო. ეროვნულმა საბჭომ უკუაგდო რა ჩვენი მთავრობის განკარგულებები და ზოგიერთი უკვე ცხოვრებაში გატარებული კანონები, მოინდომა ძალა უფლების ხელში ჩაგდება, რამაც ადგილობრივ ცხოვრებაში არევ-დარევა შეიტანა და მით ფართო ნიადაგი მოუმზადა ძარცვა-გლეჯას და ანარქიას. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო და შესაფერი ნაბიჯიც გადადგა ამ მხრივ.

8 აპრილს გორში მაზრის კომისარ ქარცივაძესთან ცხინვალიდან ჩამოვიდა დელეგაცია მასწავლებელ თიბილოვის მეთაურობით. დელეგაციამ აღუთქვა კომისარს მთავრობის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სურვილი გამოსთქვა მთავრობის წარმომადგენელი წინასწარ მოლაპარაკებოდა ხალხს, რისთვისაც, თუ საჭიროთ დაინახავთ, მოვიწვევთ ყრილობასო. კომისარმა სთხოვა დელეგაციას ხალხი დაემშვიდებინა და პროვოკატორების წინააღმდეგ ზომები მიეღო და აგრეთვე დაავალა ყრილობის მოწვევა.

14 მაისს მაზრის კომისარის ორდერით გაჩხრიკეს სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს ბინა. ჩხრეკის დროს გამოირკვა, რომ პრეზიდიუმი ორი კვირით ადრე გაპარულიყო ჯავისაკენ და კანცელარიაში მას დაეტოვებია სრულებით გარეშე პირი ბ. ვანიევი. კანცელარიაში საკმაოდ აღმოჩნდა ისეთი საბუთები, რომლებიცა აშკარად ამტკიცებენ ეროვნულ საბჭოს უკანონო მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას. ყველა ეს მიწერ-მოწერა წაიღეს. შენობა დაბეჭდეს და ამ გვარათ საბჭო დაკეტილად იქნა გამოცხადებული.

გაქცეული თავმჯდომარე საბჭოსი ნ. ბლიევი და წევრი მათე სანაკოევი მთაში სოფელ სოფელ დადიოდენ, მართავდენ კრებებს, თავიანთვის სასარგებლო რეზოლუციებს ახვევდენ ხალხს თავზე. მათ დაგზავნეს თავისი აგენტები სხვადასხვა სოფლებში. აგენტები გლეხებს ეუბნებოდენ, ჯავაში უკვე ჩვენი, ოსების სამი პოლკი დგას, ტყვია და წამალი აურიცხველი გვაქვს და მოგვეშველეთ, ვისაც იარაღი გაქვთ შემოგვიერთდითო, მაგრამ ხალხი ამ ავანტიურისტებზე გონიერი აღმოჩნდა. ბარის ოსები ასეთ პასუხს აძლევდენ: „ისინი არევდარევენ საქმეს და შემდეგ მთებში მიიმალებიან ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა კი ჩვენ უნდა გადაგვხდეს თავს. და მერე რისთვის, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბარი, მათთან ვცხოვრობდით ძმურად და კვლავაც ასე ვიცხოვრებთ. ჯაველები კი, ვისთანაც უნდა იმათთან წავიდნენო“.

18 მაისს ყრილობაც შეიკრიბა, ყრილობამ, რომლის თავმჯდომარეთ თიბილოვი იქმნა არჩეული, მოიპატიჟა კრებაზე ჯარის უფროსი გენერალი ყარალაშვილი და მთავრობის წარმომადგენელი მაზრის კომისარი ქარცივაძე გენერალმა ყარალაშვილმა მოკლე სიტყვით მიმართა ყრილობას. გენერალმა მოუწოდა მათ მშვიდობიანობა და წესიერება დაეცვათ. შემდეგ ილაპარაკა მაზრის კომისარმა, რომელმაც, გაკვრით აღნიშნა რა ის საშინელი პირობები, რომელშიაც მოუხდა მუშაობა ჩვენს რესპუბლიკას, კარგახანს შეჩერდა ეროვნულ საბჭოს მოქმედებაზე და ფაქტებით დაუმტკიცა ყრილობას საბჭოს უკანონო და უსამართლო ნაბიჯები.

19 მაისს ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და უცვლელათ მიიღო იგი. ამის შემდეგ ყრილობამ განაგრძო მსჯელობა ეროვნული საბჭოს მოქმედების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა მოხსენება მაზრის კომისარ ქარცივაძისა, სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეშვიდე ყრილობა უარყოფითად ეპყრობა სამხრეთ ოსეთის მეოთხე ეროვნულ საბჭოს მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებათა და ჯავის მეხუთე ყრილობის რეზოლუციისა, რომლითაც ოსეთი შედის საქართველოში ფართო ტერიტორიალური თვითმართველობის სახით,—და ირჩევს დროებითი ეროვნულ საბჭოს, სანამ მოწვეულ იქნებოდეს სახალხო საბჭო საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით“.

მეორე საკითხი, რომელიც გაირჩა ყრილობაზე, შეეხებოდა ადმინისტრაციის მოწყობას. ყრილობა დაეთანხმა მაზრის კომისარს, რომ ეროვნულ საბჭოს და მის პრეზიდიუმს არავითარი უფლება არ ჰქონდათ ჩარეულიყვნენ ადმინისტრაციის საქმეებში, მიეთვისებია უფლებები კომისრების დაყენება გადაყენებისა. ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა სოფლის საზოგადოებათა კომისრების ხელახალი არჩევნების მოხდენა. კანდიდატები წარედგინება დასამტკიცებლათ მაზრის კომისარს.

პლატფორმის შესახებ ყრილობამ უკამათოთ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„სამხრეთ-ოსეთის დელეგატთა მეშვიდე ყრილობა ცნობს, რომ საკითხი სამხრეთ ოსეთის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ, სავსებით არის გარკვეული ჯავაში მომხდარ დელეგატთა მეხუთე ყრილობაზე გამოტანილ რეზოლუციაში ეს რეზოლუცია სრულიად გამოხატავს ნება - სურვილს სამხრეთ - ოსეთის ხალხისას. ყრილობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ რეზოლუციას და ანდობს ეროვნულ საბჭოს, დამფუძნებელ კრებასთან მოლაპარაკებით განახორციელოს ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა სამხრეთ ოსეთისთვის“.

ყრილობამ აირჩია ახალი, დროებითი საბჭო. პრეზიდიუმში შეყვნენ: ზ. ვანიევი (თავმჯდომარე), გ. გაგლოევი, ა. თიბილოვი (თავმჯდ. ამხანაგები), ა. ზორაევი და ზ. კოჩიევი (მდივნები) ამით დასრულდა ყრილობა.

——

მართალია, თითქმის ყველა რეზოლუციაში, რომელიც კი გამოუტანია ყრილობას და თითქმის ყველა ორატორების სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ოსეთი საქართველოს განუყრელი ნაწილია, მაგრამ, ცხადია, რომ ოსეთის ინტელიგენციის უმრავლესობა ეხლაც ჩრდილოეთისაკენ იცქირება, იქ ეძებს მეგობარს და იქიდან პირდება ჩვენს ოსებს გაბედნიერებას. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენმა, სოფლათ მომუშავე ამხანაგებმა. მათ უნდა გააცხოველონ მუშაობა ოსეთში, აუხსნან ხალხს, თუ რას უმზადებს მას ქართველ დემოკრატიასთან დაშორება და იხსნან იგი (ოსეთის ხალხი) იმ ავანტიურისტებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით მათს დაპატრონებიან.

ელ—ნორა.

მუშათა დეპუტატ. საბჭოში

(დასასრული).

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

კოვალიოვი მოითხოვს პოლიტიკურ მოღვაწე ბოლშევიკების განთავისუფლებას და მათთან ერთად დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას.

ლიადოვი აღნიშნავს რა იმ რთულ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც განიცდის არამც თუ საქართველო, არამედ—მთელი მსოფლიო, მოუწოდებს ყველა ძალებს გაერთიანებისაკენ.

პაპარიშვილი მოითხოვს, რომ საქმით დაამტკიცონ მათ ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ.

ხააკიანი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან რჩება ნამდვილ მებრძოლათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკა და რადგან ის მარტო ვერ შესძლებს დენიკინთან ბრძოლას, აუცილებლათ საჭიროა სოლიდო ცენტრის საქართველოს დემოკრატიის ხელმძღვანელობით შექმნა. საჭიროა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციათა შეერთება, და ამ ძალებთან ერთად შებრძოლება დენიკინის რეაქციასთან.

მ. ხოშთლავა. იმათ, ვინც ხედავს დემოკრატიზმის უარყოფას საქართველოს მიერ, რადგან აქ იხურება გაზეთები და სხვა, მოაგონებს რუსეთში ბოლშევიკების მოქმედებას, როგორც მიმართულს გაზეთების დახურვის და სოციალისტ-რევოლუციონერთა და მენშევიკთა დატუსაღებისაკენ. თუ თქვენ გაერთიანების გზა მიგაჩნიათ ბოლშევიზმათ, მაშინ ჩვენ პირველი ბოლშევიკები ვართ, დღევანდელ პირობებში საქართველომ უნდა აირჩიოს საკუთარი ორიენტაცია და თუ იქ ევროპაში აღიმართება წითელი დროშა და დადგება ხანა სოციალისტური რევოლუციისა, ჩვენ მზათ ვართ მათთან შესაერთებლათ. შემდეგ ორატორი იგონებს კართაგენის დაცემის მაგალითს და ამბობს, რომ ჩვენს სარდალს ჯუღელს ჩვენი დემოკრატია არასოდეს არ უღალატებს, როგორც ამას ქონდა ადგილი იქ, კართაგენში. ჩვენი დემოკრატია რეაქციასთან ბრძოლაში ან მოკვდება, ან გაიმარჯვებსო.

არუთინოვი მოუწოდებს ყველას გაერთიანებისაკენ დენიკინის რეაქციასთან შესაბრძოლებლათ.

ბოლშევიკების წარმომადგენელი მოითხოვს რა ამხანაგების განთავისუფლებას და კომუნისტურ რაზმების შექმნას, აღნიშნავს რომ ისინი დღეს ფრაქციულ ანგარიშების გასწორებას არ შეუდგებიან და ერთად იბრძოლებენ დენიკინის წინააღმდეგ, მანამ, სანამ საქართველო ეომება დენიკინს ჩვენ ბოლშევიკები, ვიქნებით მასთანო.

თარხანოვი აღნიშნავს დენიკინის წინააღმდეგ გაერთიანებულ ფრონტის შექმნის აუცილებლობას, მოითხოვს, რომ საქართველო გამოვიდეს ნაციონალურ ჩარჩოებიდან.

ზურაბოვი სცნობს რა საჭიროთ დენიკინის საწინააღმდეგოთ გაერთიანებას, მოითხოვს ამის განსახორციელებლათ მუშათა კავშირების მოწვევას.

ჯუღელი. მე არ ვფიქრობდი, რომ კონკრეტიული საკითხი დენიკინზე გამოიწვევდა ასეთ კამათს. მე მეგონა, რომ ყველა რევოლუციონერები შეერთდებოდნენ დენიკინის წინააღმდეგ. ბრძოლის და გამარჯვების პროცესში ჩვენ გამოვიცნობთ ჩვენს ამხანაგებს, თქვენ წარმოიდგინეთ თქვენი თავი რუსეთის ბოლშევიკების ადგილზე. რას იზამდით თქვენ, რომ მემარცხენე რევოლუციონერებს მოეთხოვა თქვენთვის—ჯერ გამოუშვით ჩვენი ამხანაგები და შემდეგ ვიბრძოლებთო? თქვენ ლაპარაკობთ სამ ბოლშევიკზე და არას ლაპარაკობთ 6,000 ბოლშევიკზე, რომელიც ჩვენ დავიფარეთ დახოცვისაგან. მოიგონეთ თვით ბოლშევიკების მოქმედება რუსეთში—გაზეთების დახურვა, დახვრეტა რევოლუციისთვის ბრძოლაში.

თვით ჟორდანიას რომ შეეკითხოთ—არის თუ არა ის კმაყოფილი სავსებით იმით, რაც გაკეთდა, იტყვის რომ არა, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ გვიხდებოდა მოქმედება, მეტის გაკეთება წარმოუდგენელია.

და თუ ჩვენ ეს თავშესაფარი დაგვენგრევა, თუ ჩვენ ფიზიკურათ გაგვანადგურეს, ვერავითარი საერთაშორისო დემოკრატია ჩვენ ვერ გვიშველის. მუშათა დეპუტატების საბჭომ უნდა დაუძახოს ყველას, ყოველ რევოლუციონერს დენიკინის წინააღმდეგ. უნდა შესდგეს ყოველ კუთხეში ბრძოლის კომიტეტები დენიკინის წინააღმდეგ.

დასასრულ ერთხმათ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში.

პროვინცია

ზუგდიდი. საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი ზუგდიდში შესანიშნავად ჩატარდა. დღესასწაულში მონაწილეთა რიცხვი 15,000 მეტი იყო. წინა დღეებში გამუდმებით წვიმდა, 26 მაისს კი მშვენიერი დარი დადგა, თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდა ხალხის ზეიმს, და აუარებელ ხალხმა სადღესასწაულოთ მორთულმა დროშებით და სიმღერებით დილიდანვე იწყო დენა სოფლებიდან. ქალაქი ამ დროს წარმტაც სურათს წარმოადგენდა. ის სულ ერთიანად იმალებოდა ეროვნულ დროშებით აფერადებულ გირლიანდებში. სოც.-დემ. ბიურო კი სულ ერთიანად ყვავილებით იყო მორთული და მის აივანს ამშვენებდა ცოცხალი ყვავილებით კოხტად გაკეთებული საქართველოს გერბი. დილის 10 საათზე ხალხმა თავი მოიყარა ყოფილ სამეგრელოს მთავრის სასახლის წინ. აქ ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაიამ განუმარტა ხალხს დღის მნიშვნელობა და სიდიადე. აღტაცებულმა ხალხმა ვაშას ძახილით და სიმღერით უპასუხა მას. ამის შემდეგ ყველა გაემართა ქუჩებისკენ. წინ,

თეთრში გამოწყობილ ყვავილებით ხელში პატარა ბავშვების წრეში მიდიოდა ორი ქალი „რევოლუციის“ და „დამოუკიდებელ საქართველოს“ სიმბოლოს ნიშნებით. ამათ მისდევდა მოხუცთავენი, ჩოქილავენი, ფეხის მარულაში მონაწილენი, გვარდია და რაზმები, პარტიები დროშებით, ხალხი და რაზმი კოხტად გამოწყობილი ცხენოსნებისა. აქა-იქ გაისმოდა სიმღერა. 12 საათზე ბაღის წინ გაიმართა ფეხის და ცხენების მარულა და ჯირითი. ნაშუადღევის 4 საათზე ბურთის თამაში. მთელი ხალხი მონაწილეობას იღებდა თამაშში. შემდეგ უკვე სადამო ჟამს, სასახლის წინ მოედანზე გაიმართა ქეიფობა, ფერხული და ცეკვათამაში. 10 საათზე ხალხი ნელნელა დაიშალა კმაყოფილი და ნასიამოვნები.

„რა კარგია! ასეთი დღე ბევრი ხანია არ გვინახავს, ასე რა ხანია, ჩვენ ბედშავებს არ გვიმხიარულებია. სიყმაწვილე გაგვახსენდა“ ამ ხალხში აქა იქ ისმოდნენ თვალებ-გაბრწყინებული, მოწიწარე მოხუცებულები. სიმღერა და ხმაურობა შუაღამემდე გაისმოდა მთელს ქალაქში.

მ. ჯ—ნია.

ახალ-სენაკი. კვირას, 15 ივნისს (ახ. სტილით), დილის 10 საათზე, ძმ. სანიკიძეების თეატრის დარბაზში დანიშნულია ქ. ს. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

გამგეობა სთხოვს პატივცემულ წევრთ დაესწრონ ამ კრებას. თუ ამ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება შემდეგ კვირას, 22 ივნისს და წესდების ძალით ის კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

წერილი რედ. მიმართ

(ხონელის საპასუხოდ)

„კლდის“ № 50 ში მოთავსებულია წერილი „ხონის დიქტატორები“, რომელსაც ხელს აწერს ვიღაც ხონელი. გაზ. „კლდის“ რედაქციას რომ წარმოდგენა ქონდეს რიგიანობაზე, ის ჯერ შეამოწმებდა წერილში აღნიშნულ ცნობას, შეკრებდა ცნობებს ბ-ნ ხონელის პიროვნების შესახებ და მერე მოათავსებდა გაზეთის ფურცლებზე ხონელის უკუღმართად გადამახინჯებულ „ფაქტს“.

საქმის ვითარება ასე გახლდათ: ხონის ქალაქის გამგეობამ, თანახმად ხმოსანთა საბჭოს დადგენილებისა, აღძრა შუამდგომლობა ვის წინაშეც ჯერ არს, მოეხდინა რეკვიზიცია იასონ ჩხენკელის სახლისთვის და გადაეცა ქალაქისთვის, შიგ საავადმყოფოს მოსათავსებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახლი დიდიხან გაშენებისა გაქირავებული იყო. რეკვიზიციის შესახებ დადგენილების გამოტანის დროს შიგ იდგა ხონის გიმნაზიის დირექტორი, რომელსაც ქალაქის გამგეობამ სხვა ბინა მოუნახა. ბ-ნმა ჩხენკელმა არ ინება სახლი დაეთმო ქალაქისთვის და დაიწყო საჩივრები, ერთ საჩივარში, რომელიც მან წარუდგინა გუბერნიის კომისარს, მისი სახლის რეკვიზიციას აბრალებდა თითქო მის წინააღმდეგ ინტრიგებს და ათასნაირი ცილის წამებით იყო აღსავსე.

ამ ქაღალდის პასუხად განმარტება წარუდგინეთ გუბერნიის კომისარს და თან გავაცანით თუ რა კაცი ბრძანდებოდა ბ-ნი ჩხენკელი. განმარტებაში აღვნიშნეთ: 1) რომ ბ-ნი ჩხენკელი კაცის მკვლელია, 2) რომ იგი დეზერტირი იყო და ურცხვად ატყუებდა გუბერნიის კომისარს, რომ თითქო ჯარში იყო ორი თუ სამი წელი, 3) რომ იგი „ოხრანკაში“ დაბრძანდებოდა და 4) რომ იასონ ჩხენკელი სპეკულიაციას ეწეოდა. მე ამ ბრალდებებს აქაც ვიმეორებ და მზად ვარ დავუმტკიცო ბ-ნ ჩხენკელს, სადაც ენებება.

სწორედ ეს გადასაჩივრებია ბ-ონ ჩხენკელს და საქმე კიდეც გაურჩევია მომრ. მოსამართლეს გაბუნიას.

მე ვეკითხები ქარიკანა კორესპონდენტს „ხონელს“, „კლდის“ რედაქციას და მომრიგ. მოსამართლეს გაბუნიას, განა შეიძლება კაცი გაამართლო ისე, რომ მომჩივანს არც კი შეატყობინო, რომ მის წინააღმდეგ საჩივარია აღძრული და არ აცნობო საქმის გარჩევის დღე?!. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ამის შესახებ ჩემთვის სასამართლოს არაა ეცნობებია არა დღემდე და არც არავითარი უწყება ჩაუბარებიათ ჩემთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მე სიამოვნებით გამოვცხადდებოდი სასამართლოში და ერთხელ კიდევ დავუმტკიცებდი ბ-ნ ჩხენკელს, რომ მე იგი სისწორით დავახასიათე. მე არ ვიცი როგორ დაუშვა ასეთი შეცდომა ბ-ნმა გაბუნიამ? შეიძლება ბ-ნმა ჩხენკელმა აქაც თავისებურად „მოაკვარახჭინა“ საქმე და შეცდომაში შეიყვანა მომრიგებელი მოსამართლე გაბუნია.

რაც შეეხება ბ-ნ ხონელის განცხადებას „გრუზიაში“ მოთავსებულ წერილის შესახებ, შემდეგი უნდა განვაცხადოთ: გაზ. „გრუზიაში“ მართლაც იყო მოთავსებული ბ-ნ ჩხენკელის წერილი, რომელშიაც მე და ჩემს ამხანაგებს უსირცხვილო ადამიანის ენით გვლანძღავდა, ქორებით და უმართებულო დამცირებით ჩვენი სახელის გატეხას ცდილობდა, ხოლო თავის ქებით მკითხველს ყურებს უჭედდა და თავის თავს ყოფილ სახალხო სკოლის მასწავლებლად იხსენიებდა, ხოლო იმის შესახებ კი არას ამბობდა, რომ მასწავლებლობა მან მეტარნეობაში გაცვალა.

ამ წერილზე დასაბუთებული პასუხი გაუგზავნეთ „გრუზიას“; ეს უკანასკნელი დაგვპირდა პასუხის დასტამბვას, მთელი ორი-სამი თვე გვატყუებდა და წერილი მაინც არ დასტამბა. ორი სამი თვის შემდეგ ამ პასუხის სხვა გაზეთში მოთავსება უკვე ძალიან დაგვიანებული იქნებოდა და ჩვენც თავი გავანებეთ, რადგან ვინც კი იცნობს ბ-ნ ჩხენკელს, უამისოდაც კარგად იციან თუ რა კაცი ბრძანდება იგი.

რაც შეეხება „გრუზიის“ რედაქციის საქციელს, ამაზე არას ვიტყვით, გარდა იმისა, რომ რიგიანობა მოითხოვს საშუალება მისცე უმართებულოთ შეურაცხყოფილთ გაფანტონ ის ქორები, რომლებიც გაზეთის ფურცლების საშუალებით ქვეყანას მოსდო და ამ გზით ზოგი გულუბრყვილო მკითხველი შეცდომაში შეიყვანა.

ასე იყო საქმის ვითარება და ახლა მკითხველმა გასაჯოს, მართებს ზეიმი და ტრაბახი ბ-ნ იასონ ჩხენკელს, მის დამცველ ბ-ნ ხონელს და „რიგიანობით“ აღსავსე „კლდეს“, თუ სჯობდა მათთვის გაჩუმებულიყვნენ?

დამფ. კრების წევრი ივ. ჭავჭანიძე.

ნიხრი

პირველ საჭიროების საგნებზე ქ. ტფილისში დამტკიცებული ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან 31 მაისს 1919 წ.

ხორცი

ძროხის ხორცი 8 მან. გირ. ფუთობით 290 მ. სკიდკა თითო ფუთ. ახალ ხორცზე 2 გირ. დაყოვნებულზე 1 გირვანქა. ტვინი 5 მანეთი თითო ც. ნარდით 4 მ. 80 კ. ენა 5 მ. 70 კ. ნარდით 5 მ. 50 კ. თავის ხორცი უძვლებოთ 3 მ. 50 კ. ნარდით 3 მ. 30 კ. თავის ხორცი დასაწონად აკრძალულია. ჯიგარი (გულ-ღვიძლი) 3 მ. 20 კ. ნარდით 2 მ. 90 კ. გული 3 მ. 50 კ. ნარდით 3 მ. 20 კ. ფილტვები 1 მ. 40 კ. ნარდით 1 მ. 20 კ. ტყლიპი 2 მ. 40 კ. ნარდით 2 მ. 20 კ. ხუკი 11 მ. 50 კ. კამეჩის ხორცი 6 მან. გირ. ფუთობით 210 მ. სკიდკა იგივე რაც ძროხის ხორცზე. ცხვრის ხორცი 10 მან. გირ., ფუთობით 370 მან. ჯიგარი 10 მან. ცალი

შენიშვნა: აკრძალულია დაწონვა თავის ხორცის და შიგნეულობისა.

გოჭი 10 მან., ღორის ხორცი 8 მან. გირ. ვეჩინა გამოხმული უკანა ბარკალი 12 მ. გირ. წინა ბარკალი 10 მან., გვერდები 11 მან. გ., მოხარშული წინა და უკანა ბარკალი 15 მან. გირ., გვერდები 14 მან.

თევზი:

ორაგული 12 მან., ზუთხი 10 მან. გირ., სევრიუგა 9 მან., ლოქო 5 მან., საზანი 4 მ. 50 კ., რძე კრუშკა 2 მან., კარაქი 30 მან.,

ყველი:

შვეიცარული 20 მან. გირ., თუშურ. კობიის და ოსური (დამარილ.) 15 მან., იმერული (დამარილებული) 10 მან., ახალი ადგილობრივი და თათრული 10 მან., „ერევნული“ ახალი 10 მან., ხელოვნური 8 მან., კვერცხი ცალობით 1 მ. 20 კ., ლობიო წითელი 2 მ. 80 კ., გურული 3 მ., მარილი დაფქვილი 60 კ., კინძი 45 კ., ნახშირი ფუთი 20 მ.

ნიხრი აუცილებლად უნდა იყოს გამოკიდებული თვალსაჩინო ადგილზე. ნიხრის დამრღვევისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად კანონისა სპეკულიაციისთვის, გამოცემულს მთავრობისაგან 1 ოქტომბრის მიმდინარე 1918 წლისა.

ნიხრის დამრღვევისათვის უნდა მიემართოს საქალაქო სასურსათო საზედამხედველოს (შტაბის და სასახლის ქუჩის კუთხე, ტელ., № 13—40) საუბნო კომისრებს, საუბნო სასურსათო კომიტეტებს და მილიციას.

განცხადებანი

ტფილისში გოლოვინის ქ № 42 ფიერვერკის № 6

იყიდება რესტორანი

თავის მოწყობილობით იქვე იკითხეთ.

20 აპრილს **დაიკარგა** სუფსიდან ქუთაისამდე სუფსის ს. დ. ორგანიზაციიდან მიცემული მანდატი და მილიციის მოწმობა სურათით ოზურგეთის სამაზრო სამართველოდან მიცემული რაც ჩაითვლება გაუქმებულად. იოსებ სიმონის ძე ჯიჯიეიშვილი.

საჯაროდ იყიდება

დაწუნებული (დაბრაკული) ცხენები ამა წ. 5 თიბათ. დილის 10 საათ. საარტილერიო მოედანზე (ფეიერვერკის ქუჩის კუთხე).

არომატიული და მარგებელი

მარწყვის ჩაი

მისამართი: იოსებ კაკაბაძე, ქუთაისში. (3—3)

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ პარასკევს ა. წ. 6 ივნისს გამგეობის თანდასწრებით

მზადდება და 15 ივნისისთვის გასასყიდათ გამოვა

ზერონტი ძიძიძის წიგნი

ეროვნული ენერგია

წიგნი შეიცავს 250 გვერდს და ღირს 25 მან. წინდაწინვე დაკვეთა შეიძლება წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. ბითუმათ მყიდველებს შესაფერი პროცენტები დაეთმობათ. (3—2)

ექიმი ლ. ა. ხარაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (წოლითი სამკურნალოებით) ექიმი დონხიძე

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

ექიმი მ. ზ. მხალოვლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი მ. კლდიაშვილი

სპეციალურად: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფობა: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლების სნეულობანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლის გარდა ღებულობს ავადმყოფებს ვაგზლის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროგრადის ქ. № 4, კუთხე მიხეილის პროსპექტისა, კიროჩნის ქუჩის მახლობლად, ტელეფონი 8—48.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა რჩევა დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119. ტელეფონი № 9—26.

ექიმი ზახარიონი კოკოზი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—1 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა: ვერა, გუნიბის ქ., № 41. ტელ. № 14—60

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დღისით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ზ. მუხრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლლუქსით და არსველის ტალკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიგებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ექიმი ი. ზ. ხეჭოტორა

განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებისა. ავათმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № ტელ. 4—15.

ექიმი ნ. ა. შაჩრაძე.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს [illegible] 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 38.

ექიმი ნიკოლოზ იოანეს ძე მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ა. ზ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ., № 43.

გახსნილია კერძო სამკურნალო მუდმივი საწოლებით. მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფონი 5—97, ავათმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი მ. ი. ზირაქიანი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღას ქუჩა № 24 ტელეფ. 1—35

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი **აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

ამიერ კავკასიის კოოპერატივების მოსამსახურეთა საყურადღებოთ

შაბათს, 7 ივნისს ქ. ტფილისში მოწვეულია საქართველოს, აღერბეიჯანის და სომხეთის მომხმარებელი საკრედიტო და საწარმოო კოოპერატივების მოსამსახურეთა

პირველი ყრილობა

ყრილობის პროგრამა:

1) საკოოპერაციო სექციის მოხსენება, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) კოოპერაცია და კლასთა ბრძოლა, 4) კოოპერაციის მდგომარეობა ამიერ კავკასიაში, 5) კოოპერაციის მნიშვნელობა ამიერ კავკასიის ცხოვრებაში, 6) კოოპერაციის ფინანსიური პოლიტიკა, 7) კოოპერაცია და მრეწველობის ნაციონალიზაცია, 8) კოოპერაცია და ადგილობრივი თვითმართველობანი, 9) კოოპერატიული კანონის მნიშვნელობა მოსამსახურეთათვის, 10) მოსამსახურეთა როლი კოოპერაციაში, 11) მოსამსახურეთა ორგანიზაცია, 12) კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებანი, 13) კოოპერატიული შრომის ბირჟა, 14) შემნახველ დამხმარე და საავადმყოფო კასები, 15) საკოოპერაციო ჟურნალი, 16) კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობა მოსამსახურეთა შორის, 17) არჩევნები, 18) მიმდინარე მომენტი, 19) მიმდინარე საქმენი.

წარმომადგენლობის ნორმა: ქ. ტფილისი და ბაქო 50 კაცზე გზავნის თითო დელეგატს; გაერთიანებული რაიონები 25 კაცზე თითო დელეგატს, ხოლო 35 კაც. მეტი კი 2 დელეგატს. ცალკე კოოპერატივები 25 კაცამდე 1 დელეგ. ტფილისში ჩამოსულთათვის მოწყობილი იქნება იაფი სადილი და უფასო საერთო ბინა.

(2—1) ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო.

კვირას 15 ივნისს ქ. ტფილისში გამოვა საქ. მუშათა პროფესიონ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო, ყოველ კვირეული ჟურნალი

„მუშათა ცხოვრება“

ჟურნალის მიზანია—ემსახუროს მუშათა კლასის ინტერესებს და ხელი შეუწყოს მას ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით „მუშათა ცხოვრება“ ეცდება ყოველმხრივ გააშუქოს: პროფესიონალურ კავშირთა ცხოვრება, სახელმწიფოს საერთო ეკონომიური მდგომარეობა, შრომის დაზღვევა, მისი დაცვის ორგანოების მოღვაწეობა, სასურსათო საკითხი, მუშათა კოოპერაცია და სხვა ასეთი საკითხები. ამასთანავე ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“ ეცდება რაც შეიძლება ფართოთ გააცნოს მკითხველებს მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა როგორც საქართველოს ყველა კუთხეებისა, ისე სხვადასხვა ქვეყნებისაც. ჟურნალი გამოვა ორ ენაზე: რუსულზე და ქართულზე. ჟურნალში მიიღებენ მონაწილეობას პროფესიონალური მოძრაობის საუკეთესო თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. ჟურნალი ეღირება ყველგან სამი მანეთი. წერილები და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭო, სარედაქციო კოლეგიის მდივანს შ. აბდუშელიშვილს.

თივა იყიდება თივა ხელსაყრელ ფასებში. მისამართი: ყვარაიაში, სოფ. ერთობის ახლად გადმოსახლებულთა საზოგადოების ბიურო. პირობების გაგება შეიძლება როგორც ზემოხსენებულ ბიუროში, ისე ქ. ტფილისში: ფლოტის ქ. № 15, ივანე ჩხეიძესთან. საზოგადოების დავალებით: არქიპო ბერაძე და განო ჩხეიძე. 1—1

კვირას 15 ივნისს დილის 10 ს. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების შენობაში (პუშკინის ქ. № 3) დანიშნულია მომხ. საზ. „ტფილისის კოოპერატივის“ წევრთა

წლიური საზოგადო კრება

თუ რომ კრებას არ შეუდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, კრება ინიშნება მეორედ იმავე დღეს, იმავე შენობაში დილის 11 საათზე. (1—1)

[illegible]